

**პროგრამის სწავლის შედეგების
ჩამოყალიბებისა და შეფასების
მეთოდოლოგია**

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ
2019 წლის 26 ივლისი, ოქმი N7

ცვლილება აკადემიური საბჭოს მიერ
2020 წლის 23 იანვარი, ოქმი N2



გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და შეფასების მეთოდოლოგია

1

პროგრამის მიზნები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1. პროგრამის მიზნები

- 1) პროგრამის მიზნები უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის/ ფაკულტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას, ასევე - დარგის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები, უნდა ასახავდეს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მოამზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა.
- 2) მიზნები იყოს რეალისტური და მიღწევადი და ასახავდეს, თუ რა წვლილი შეაქვს მას დარგისა და საზოგადოების განვითარებაში; აგრეთვე ასახავდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხებს;

2

პროგრამის სწავლის შედეგები

1. პროგრამას უნდა ჰქონდეს ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის მიზნებს, რაც ასახული იქნება პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე. აღნიშნული რუკას შეიძლება ჰქონდეს შემდეგი სახე:

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

ცხრილი N1.

მიზნები	სწავლის შედეგები									
	1.	2.	3.	4.	5.	6.	7.	8.	9.	10.
ა	✓									
ბ				✓					✓	
ბ	✓									

2. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი პროგრამის დასასრულს უნდა შეფასდეს, რაც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს აჩვენოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას სტუდენტმა მიაღწია პროგრამის სწავლის შედეგებს. ეს უკანასკნელი კი იმის

მაჩვენებელიც იქნება, რომ პროგრამის მიზნები მიღწეულია, რადგან თითოეული მიზანი დაკავშირებულია პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან.

3

პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება

1. ზოგადი მიდგომები:

- 1) პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას/ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.
- 2) პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების საფეხურს, შესაბამისად საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები უნდა განსხვავდებოდეს სირთულის მიხედვით.
- 3) იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა არის რეგულირებადი, მაშინ სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას უნდა მოხდეს დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინება, ასევე, გათვალისწინებული უნდა იყოს დარგობრივი სტანდარტები (მათი არსებობის შემთხვევაში).
- 4) სწავლის შედეგები უნდა იყოს მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადი (რაც მათ შეფასებას გულისხმობს).

2. შრომის ბაზრის მოთხოვნების ასახვა სწავლის შედეგებში

- 1) სწავლის შედეგებში, სასურველია, ასახული იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნებიც, რომლებიც დაფუძნებული იქნება შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზზე. შრომის ბაზრის (დამსაქმებელთა) მოთხოვნების ანალიზი გულისხმობს იმის დადგენას, თუ რა საჭიროებებია კონკრეტულ დარგში, რა ცოდნისა და უნარების მქონე კურსდამთავრებული სჭირდებათ დამსაქმებლებს, რაც უნდა აისახოს სწავლის შედეგებში. აღნიშნულ ინფორმაციას უნივერსიტეტი მოიპოვებს დამსაქმებელთა გამოკითხვით, ფოკუს-ჯგუფების ჩატარებით, სამაგიდე კვლევით, არსებული მონაცემების გამოყენებით და ა.შ.
- 2) იმისათვის, რომ სწავლის შედეგებში ასახული იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნები და დარგის სპეციფიკა სწავლის შედეგების შედგენის პროცესში ჩართული უნდა იყოს აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, შესაბამისი სფეროს დამსაქმებლები და ა.შ.

3. მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება

სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკა, შესაბამისად უნდა მოხდეს მსგავსი პროგრამების სწავლის შედეგების ან დარგობრივი მახასიათებლების გაანალიზება.

4. სწავლის შედეგების ფორმულირება

სწავლის შედეგების ფორმულირებისთვის მიზანშეწონილია, ქვემოთ მოცემული ფორმულირებით ხელმძღვანელობა (ამგვარად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები შესაძლებელს ხდის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას).

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები შეძლებენ + მოქმედების გამომხატველი ზნა + რა ეცოდინებათ, რა უნარები ექნებათ, რა ემოციური ცვლილება მოხდება მათში. მაგ: „პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტებს შეეძლება, შეაფასონ მონეტარული პოლიტიკის გავლენა ეკონომიკაზე“.

5. სწავლის შედეგების რაოდენობა

პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობა არ უნდა იყოს ძალიან ბევრი. ოქროს წესად მიიჩნევა ათამდე სწავლის შედეგის ჩამოყალიბება.

4

ბლუმის ტაქსონომია

1. სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას, როგორც წესი, იყენებენ ბლუმის განახლებულ ტაქსონომიას (Bloom, B.S,1956. Taxonomy of educational objectives: The classification of educational goals: Handbook I, cognitive domain. New York), აღნიშნული ტაქსონომია მოიცავს ცოდნისა და ინტელექტუალური უნარების ექვს პროგრესულ დონეს. თითოეული დონისთვის კი განსაზღვრულია შესაბამისი ზმნები. აღნიშნული ზმნების გამოყენებით გამარტივდება სწავლის შედეგ(ებ)ის სირთულის განსაზღვრა და ასევე მათი შეფასება.
2. სწავლების მეთოდების კვლევისას დადგინდა (ბენჯამინ ბლუმი), რომ ტესტების საკითხების 95% დაბალი დონის ინტელექტუალურ აქტივობას მოითხოვდა – ისინი მიმართული იყო, ძირითადად, ინფორმაციის აღდგენაზე და ფაქტობრივ ცოდნას ამოწმებდა. სწავლა-სწავლების მიზანი კი არ არის და ვერ იქნება მხოლოდ ცოდნის დაგროვება. სტუდენტს სააზროვნო უნარების განვითარება, მიღებული ინფორმაციის განზოგადება და შემდგომში პრაქტიკული გამოყენებაც უნდა შეეძლოს – მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აუცილებელია სინთეზის და შეფასების გონებრივი ოპერაციების წარმოება.
3. ცოდნისა და ინტელექტუალური უნარების პროგრესული დონეები ბლუმის მიხედვით:



- 1) **ცოდნა** განიხილება, როგორც აზროვნების ქვედა დონის უნარ-ჩვევა და მასში იგულისხმება:
 - ფაქტების, წესების, პრინციპების, თეორიების, თარიღების, პროცესების, ობიექტების, სტილის, მოვლენების ცნობა და დასახელება;
 - კონკრეტული მონაცემების, ტერმინოლოგიის, პროცედურების ცოდნა;
 - ინფორმაციის მოძიების პროცედურების ცოდნა;
 - კონკრეტულ მონაცემებთან მუშაობის ხერხების და საშუალებების ცოდნა: (წესების და კანონების ცოდნა; კლასიფიკაციებისა და კატეგორიების ცოდნა; კრიტერიუმების ცოდნა; მეთოდების ცოდნა);

- სმენითი, წერილობითი და გრაფიკული ინფორმაციის დამახსოვრება და გახსენება მსგავსი ან ზუსტი ფორმით.
- 2) **გაგება** განიხილება, როგორც აზროვნების ქვედა დონის უნარ-ჩვევა და, ზოგადად, იგი გულისხმობს ნასწავლი მასალის მნიშვნელობის წვდომას, კერძოდ:
- ფაქტების, წესების, პრინციპების, თეორიების, პროცესების, ობიექტების, სტილის, მოვლენების საკუთარი სიტყვებით აღწერა;
 - ტექსტის ძირითადი აზრის საკუთარი სიტყვებით ახსნა მშობლიურ ენაზე;
 - ტექსტის შინაარსის გაგებაზე მიმართულ კითხვაზე პასუხის გაცემა;
 - სმენითი, წერილობითი და გრაფიკული ინფორმაციის ერთი ფორმიდან მეორეში გადატანა;
 - შესაბამისი მაგალითის მოყვანა;
 - საგნების, მოვლენების, პროცესებისა და სტილის თვალსაჩინო ნიშნით დახარისხება და დაჯგუფება.
- 3) **გამოყენება** განიხილება, როგორც აზროვნების ქვედა დონის უნარ-ჩვევა და, ზოგადად, იგი გულისხმობს ადრე ათვისებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, კერძოდ,
- ცოდნის სხვადასხვა სიტუაციაში (კონტექსტში) მოხმარება;
 - მოდელის მიხედვით (ნასწავლი წესის მიხედვით) დავალების, სამუშაოს შესრულება;
 - პროცედურის განხორციელება;
 - კანონზომიერების მოქმედების ფარგლების განსაზღვრა.
- 4) **ანალიზი** არის სააზროვნო უნარ-ჩვევა, რომლის დროსაც ხდება მთლიანი საგნის ცალკე ნაწილების, მხარეების და თვისებების გამოყოფა ადამიანის წარმოდგენაში. ცნობიერებაში მთლიანი საგნის ასეთ დაშლას ანალიზი ეწოდება. ბ. ბლუმის მიხედვით, ანალიზი არის აზროვნების ზედა დონის უნარ-ჩვევა და მასში იგულისხმება:
- მასალის (სტრუქტურის) შემადგენელ ნაწილებად დაყოფა: ნაწილების შედარება-შეპირისპირება, ნაწილებს შორის კავშირის ან სტრუქტურის დანახვა;
 - მოვლენის მიზეზის (დაფარული აზრის აღმოჩენა) ახსნა;
 - პროცესის კანონზომიერების გამოვლენა;
 - მიზეზებსა და შედეგებს შორის კავშირების დადგენა.
- 5) **სინთეზი** არის სააზროვნო უნარ-ჩვევა, რომელიც ანალიზის საწინააღდეგო პროცესს წარმოადგენს. სინთეზი გულისხმობს ცალკე მოცემული ელემენტების (ნაწილების, თვისებების) გონებაში გაერთიანებას ახალი სტრუქტურული მთლიანობის სახით: მაგალითად, ნაწილებისგან ახალი მთელის შედგენა, ცალკე თვისებების გაერთიანება ახალი მთლიანი შინაარსის სახით და ა.შ. ბ. ბლუმის მიხედვით, სინთეზი არის აზროვნების ზედა დონის უნარ-ჩვევა და მასში იგულისხმება:
- ნაწილების შეერთება ახალი სტრუქტურის (მაგ. ტექსტის) შესაქმნელად ჰიპოთეზის წამოყენება;
 - კვლევის ან რეფერატის დაგეგმვა;
 - შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა;
 - პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების წამოყენება;
 - პრობლემის გადაჭრისათვის საჭირო მოქმედებების დაგეგმვა;
 - ახალი პროდუქტის (ინტელექტუალური ან მატერიალური) შექმნა ან გამოგონება.

- 6) შეფასება არის აზროვნების ზედა დონის უნარ-ჩვევა და ზოგადად, იგი გულისხმობს, არჩეული კრიტერიუმების (მაგალითად, რაოდენობა, ხარისხი, ხანგრძლივობა, და ა.შ.) გარკვეული კატეგორიისადმი მიკუთვნებას, სტანდარტებზე (ამ კრიტერიუმის შესაბამისი სტანდარტული საზომი ერთეულები, საზოგადოებაში მიღებული ნორმები, ღირებულებები და წესები) და პირობებზე (კონტექსტი, საზღვრები, რესურსები, მოქმედების დრო და ადგილი, სხვა) დაყრდნობით რაიმეზე მსჯელობას ან დასკვნების გამოტანას, კერძოდ:
- საკუთარი პოზიციის (არჩევანის) არგუმენტირებული დასაბუთება;
 - გარკვეულ კრიტერიუმებზე ან სტანდარტებზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთება;
 - პოზიციისა და მისი კონტრარგუმენტების განხილვის საფუძველზე დასკვნის გამოტანა;
 - პრობლემის გადაჭრის რამდენიმე გზიდან ერთ-ერთის არჩევის მართებულობის დასაბუთება;
 - მოდელის (სისტემის) მოქმედების შეფასება;
 - მტკიცებულების (თეორიის, პრეზენტაციის) ღირებულების (მნიშვნელოვნების) დაზუსტება;
 - რამდენად შეესაბამება მიღებული დასკვნა იმ მონაცემებს, რომელთა საფუძველზეც დასკვნა გაკეთდა (მონაცემებისა და დასკვნების შესაბამისობის დადგენა).
4. თითოეული დონისთვის განსაზღვრულია შესაბამისი ზმნები, რომელთა გამოყენებით გამარტივდება სწავლის შედეგ(ებ)ის სირთულის განსაზღვრა და ასევე მათი შეფასება.
5. ბლუმის ტაქსონომია, ეფექტურად გამოიყენება როგორც სტრუქტურა სწავლის შეფასების ჩამოსაყალიბებლად. ამ იერარქიაში თითოეული დონე დამოკიდებულია სტუდენტის შესაძლებლობაზე, შეასრულოს ამოცანა შესაბამის ან მის ქვემოთ მდებარე დონეებზე. მაგალითად, სტუდენტისათვის ცოდნის გამოყენება (საფეხური 3) ნიშნავს, რომ მას უკვე აქვს წინა ორი: აუცილებელი ინფორმაცია (საფეხური 1) და გააზრებული აქვს ეს ინფორმაცია (საფეხური 2).

1. კურიკულუმის რუკის შედგენა

- 1) პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და ჩამოყალიბების შემდეგ, უნდა აიგოს კურიკულუმი - საგანმანათლებლო პროგრამა (კურსების ან მოდულების დამტკიცებული ერთობლიობა), რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და აკადემიური ხარისხის მიღებას (არსებული პროგრამის შემთხვევაში უნდა მოხდეს კურიკულუმის გადახედვა);
- 2) იმისათვის, რომ დადგინდეს უზრუნველყოფს თუ არა კურიკულუმი სწავლის შედეგების მიღწევას საუკეთესო გზაა კურიკულუმის რუკის შედგენა;
- 3) კურიკულუმის რუკა ასახავს, თუ რომელი სასწავლო კურსებით, აქტივობებითა თუ კვლევითი კომპონენტებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები.
- 4) პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში მონაწილეობენ მხოლოდ სავალდებულო სასწავლო კომპონენტები;
- 5) კურიკულუმის რუკა შეიძლება გამოისახოს ქვემოთ მოცემული ცხრილის სახით, სადაც ნაჩვენებია კონკრეტული კომპონენტის/კურსის სწავლის შედეგების ზმა პროგრამის სწავლის

შედეგ(ებ)თან. ასევე, სასურველია მიეთითოს, თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს. მაგ.: 1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება.

კურიკულუმის რუკა

ცხრილი N2.

სასწავლო (სავალდებულო) კომპონენტი	სწავლის შედეგები									
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1.		✓						✓		
2.	✓			✓						
3.			✓						✓	
4.			✓							

2. კურიკულუმის რუკის ანალიზი

- 1) კურიკულუმის რუკის ჩამოყალიბების შემდეგ უნდა მოხდეს მისი ანალიზი და იმის დადგენა, უზრუნველყოფს თუ არა კურიკულუმი პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებას სტუდენტებში. რუკაზე ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენი სასწავლო კურსი ავითარებს პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს და დადგინდეს, რამდენად ადეკვატურია ეს რაოდენობა; ზედმეტად ბევრი სასწავლო კურსი ხომ არ ავითარებს ერთსა და იმავე სწავლის შედეგს ან პირიქით; ხომ არ გვაქვს ისეთი სავალდებულო სასწავლო კომპონენტი/კურსი პროგრამაში, რომელიც პროგრამის არც ერთ სწავლის შედეგს არ ავითარებს;
- 2) პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე (1-გაცნობა; 2-გაღრმავება; 3-განმტკიცება) უნდა განვითარდეს.

სასწავლო (სავალდებულო) კომპონენტი	სწავლის შედეგები									
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1.	1									
2.										
3.	2									
4.	3									

6

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება

1. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ეტაპები

- 1) პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოითხოვს პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური, მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალის მჭიდრო თანამშრომლობასა და ჩართულობას. შეფასება განსხვავებული იქნება დარგების მიხედვით.
2. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება შედგება ოთხი ეტაპისაგან:
 - 1) პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება;

- 2) კურიკულუმის ანალიზი, რათა დავრწმუნდეთ, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მიაღწიონ აღნიშნულ სწავლის შედეგებს;
- 3) პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება;
- 4) შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

3. სწავლის შედეგების შეფასების გეგმა

- 1) თუ კურიკულუმი (და მისი ამსახველი რუკა) იმგვარად არის აგებული, რომ უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელშიც უნდა აისახოს, თუ როგორ შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის დასასრულს;
- 2) მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს იმ სასწავლო კურს(ებ)ში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით, ხდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის განმტკიცება (დონე-3);
- 3) შესაძლებელია, ერთი სასწავლო კურსით პროგრამის რამდენიმე სწავლის შედეგის შეფასება;
- 4) კარგი პრაქტიკაა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომებით. საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, აგრეთვე ხშირად იყენებენ რეპეტიტორიუმებს (capstone course) პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად.
- 5) უნდა განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში ჩართულ სტუდენტთა რიცხვი ძალიან დიდია, შეიძლება შეფასდეს მათი ნაწილი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. მნიშვნელოვანია, რომ განხორციელებული შეფასება იყოს ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე;
- 6) სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში აღწერილი უნდა იყოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი რომელშიც უნდა ჩანდეს, თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი;
- 7) როგორც წესი, სწავლის შედეგის შეფასება ხდება იმ სემესტრში, რომელშიც ის დადგა:

.....პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა

ცხრილი N3.

N	პროგრამის სწავლის შედეგები	სასწავლო კურსი/კურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის შედეგის მიღწევას	სემესტრი	დავალება/რუბრიკა	პასუხისმგებელი
პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:					
1.					
2.					
3.					
4.					
5.					
6.					
7.					
8.					
9.					

1. შეფასების პირდაპირი მეთოდი

- 1) პირდაპირი შეფასების მეთოდი გულისხმობს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებას კონკრეტული შესასრულებელი დავალების მეშვეობით.
დავალება შეიძლება იყოს: ტესტი; გამოცდა; ესე; პროექტი; პორტფოლიო; სიმულაცია; სალიცენზიო გამოცდა; საველე პრაქტიკა/კვლევა და ა.შ.
- 2) სასწავლო კურსში მიღებული საბოლოო შეფასება ვერ ჩაითვლება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებად, რადგან სასწავლო კურსის ქულა მოიცავს და აფასებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღმა ბევრ სხვა უნარსა და ცოდნას;
- 3) პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უნდა გამოიყენებოდეს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს.

პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება (1)

ცხრილი N4.

სასწავლო კომპონენტი	სწავლის შედეგები				
	შედეგი 1.	შედეგი 2.	შედეგი 3.	შედეგი 4.	და.ა.შ.
კომპონენტი 1.	ტესტი				
კომპონენტი 2.				საველე კვლევა	
კომპონენტი 3.		ესე			
კომპონენტი 4.			პროექტი		

2. არაპირდაპირი შეფასების მეთოდი

- 1) არაპირდაპირი შეფასების მეთოდი გულისხმობს სტუდენტის თვითშეფასებას; დამსაქმებლის მიერ სტუდენტის შეფასებას და ა.შ. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ შეფასების ეს ფორმა არ უნდა იქნეს გაიგივებული სტუდენტის მიერ კურსის შეფასებასთან ან კურსით კმაყოფილების კვლევის შედეგებს;
- 2) პროგრამის სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასების მიზნით შეიძლება მომზადდეს კითხვარი, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება პროგრამის სწავლის შედეგები და სტუდენტები აღნიშნავენ თავიანთ მოსაზრებას, თუ რა დონეზე მიაღწიეს ამა თუ იმ სწავლის შედეგს. იმავე კითხვარის გაგზავნა შეიძლება დამსაქმებლებთანაც;

1. სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების დადგენის შემდეგ თითოეული სწავლის შედეგისთვის უნდა დადგინდეს სამიზნე ნიშნული, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა

დონით მიაღწევენ სტუდენტები თითოეულ სწავლის შედეგს. მაგ., სტუდენტების 65% მიიღებს 15 დან 20 ქულამდე შეფასებას პროგრამის პირველ სწავლის შედეგში (იმ შემთხვევაში, თუ ამ სწავლის შედეგს ვაფასებთ დავალების მეშვეობით, რომლის მაქსიმალური შეფასებაცაა 20 ქულა);

2. სწავლის შედეგების შეფასებისთვის განსაზღვრულ დავალებაში/კომპონენტში მიღწევების დასადგენად და შესაფასებლად სამიზნე ნიშნულებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ე.წ. ნორმალური განაწილება (იგივე გაუსის განაწილება), რაც ნიშნავს, რომ დამოუკიდებელი და ერთნაირად განაწილებული გარკვეული ტიპის შემთხვევითი სიდიდეების საშუალო არითმეტიკული მისწრაფის სტანდარტული ნორმალური განაწილებისკენ, პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ სტანდარტული ნორმალური განაწილების დიაპაზონებია:

ცხრილი N5

10%	„A“ - ფრიადი
25%	“B”- ძალიან კარგი
30%	“C” -კარგი
25%	“D” -დამაკმაყოფილებელი
10%	“E” -საკმარისი

3. კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემაში (ECTS) შემუშავებულია სტუდენტთა რანჟირების სკალა, რომელიც პრინციპში ემთხვევა გაუსის ნორმალურ განაწილებას: ყველაზე მაღალქულიანი რაოდენობა საერთო რაოდენობის 10%-ს არ უნდა აღემატებოდეს, შემდეგ კი საფეხურებად 25%-30%-25%-10%. რანჟირების სკალის მიხედვით, სტუდენტთა ძირითად მასას სწავლის შედეგების მიღწევის საშუალო მაჩვენებელი უნდა ჰქონდეს, ძალიან მაღალი და დაბალი კი – სტუდენტთა შესაბამისად 10–10%-ს.
4. აღნიშნული დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები, მაგალითად:
 - საკუთრივ სწავლის შედეგი/შედეგები;
 - კრედიტების/საათების განაწილება;
 - სწავლა-სწავლების მეთოდები;
 - თემატიკა და მისი მოცულობა;
 - შეფასების ფორმები და მეთოდები;
 - ჯგუფში სტუდენტთა ოდენობა;
 - სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები და ა. შ
5. სამიზნე ნიშნულები განსხვავებულია პროგრამების მიხედვით.

1. სწავლის შედეგების შეფასების ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკად და ინსტრუმენტად მიჩნეულია რუბრიკის გამოყენება. რუბრიკა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც განმავითარებელი, ისე შემამჯამებელი შეფასებისთვის.

2. რუბრიკა (შეფასების სქემა) არის მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმებისა და მათი გამოყენების წესების ერთობლიობა, რომლის მიხედვითაც ფასდება სტუდენტის მოსწრება ამა თუ იმ აქტივობასა ან საგანში; მაგ.: საკითხის ცოდნა, ანალიზი, შესრულების ხარისხი და ა.შ.
3. ასხვავებენ შეფასების ანალიტიკურ, ჰოლისტურ, ზოგად და კონკრეტულ სქემებს/რუბრიკებს.
 - 1) **ანალიტიკური რუბრიკა:** როდესაც დასდება თითოეული კრიტერიუმი ცალ-ცალკე, მაშინ საქმე გვაქვს შეფასების ანალიტიკურ სქემასთან/რუბრიკასთან.
 - 2) **ჰოლისტიკური რუბრიკა:** არის შემთხვევები, როდესაც შეფასების სქემის დაყოფა ორ ან მეტ დამოუკიდებელ მახასიათებლად აუცილებელი არ არის ან უბრალოდ ვერ ხერხდება. ასეთ შემთხვევაში შემფასებელი ქმნის ან იყენებს ჰოლისტური შეფასების სქემას/რუბრიკას. ჰოლისტური შეფასების სქემის გრაფებში გაერთიანებულია ყველა კრიტერიუმი და მახასიათებელი, რომელთა მიხედვითაც ლექტორს სურს სტუდენტის ნამუშევარი შეაფასოს. სტუდენტის პასუხის ხარისხი ფასდება ზოგადად და არა კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით. ჰოლისტურ რუბრიკაშია სახულია შესრულების ხარისხის ცვლილება სრულყოფილი შესრულებიდან არადაამკმაყოფილებელ შესრულებამდე.
4. შეფასების სქემები ლექტორმა შეიძლება შექმნას რამდენიმე მიზნით. იმის მიხედვით, თუ რა მიზნით აწარმოებს იგი შეფასებას, არსებობს შეფასების შემდეგი სქემები:
 - 1) **ზოგადი რუბრიკა:** გამოიყენება უნარ-ჩვევათა ერთობლიობის შესაფასებლად;
 - 2) **კონკრეტული რუბრიკა:** გამოიყენება ერთი კონკრეტული საკითხის/დავალების შესაფასებლად;
 - 3) **ზოგად-კონკრეტული რუბრიკა:** შეფასების ამ სქემის მიზანია როგორც ზოგადი უნარ-ჩვევების, ასევე კონკრეტული საკითხის/დავალების შეფასება
5. ლექტორი წყვეტს შეფასების რომელი ტიპის რუბრიკა (ანალიტიკური თუ ჰოლისტური) იქნება შერჩეული და რომელი მათგანი იძლევა უფრო სანდო და ობიექტური შეფასების საშუალებას კონკრეტული დავალების შესაფასებლად. ამასთან, ჰოლისტური რუბრიკით სარგებლობა ლექტორისთვის უფრო ადვილია, მაგრამ ამ ტიპის რუბრიკით სარგებლობა გამსწორების გამოცდილებას და მის მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს. არის საფრთხე, რომ შემფასებელმა ჰოლისტური რუბრიკით შეფასებისას ყურადღება არ მიაქციოს სტუდენტის შედეგებს რომელიმე კატეგორიაში და სტუდენტი მხოლოდ ნაწილი მახასიათებლებით შეაფასოს, რაც გამოიწვევს შეფასების არაობიექტურობას. როდესაც შეფასების რუბრიკა ჩაშლილია ცაკლეულ კრიტერიუმებად (ანალიტიკური რუბრიკა) და თითოეული კრიტერიუმი ცალ-ცალკე ფასდება, ამ საშიშროებისგან დაზღვეულები ვართ.
6. შეფასების ახალი სქემის შედგენისას პედაგოგმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:
 - განსაზღვროს შეფასების სქემის მიზანი;
 - შეადგინოს შეფასების ძირითადი კრიტერიუმები;
 - შეადგინოს მაქსიმალური და მინიმალური ქულების მახასიათებლები;
 - განსაზღვროს დონეების რაოდენობა; დონეები ერთმანეთისაგან ხარისხობრივად უნდა განსხვავდებოდეს; დონეების მახასიათებლები უნდა იყოს კონკრეტული.
 - კოლეგებთან ერთად გააკეთოს შეფასების სქემის პილოტირება; ე.ი., ისინი ერთდროულად, მაგრამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, აფასებენ ერთსა და იმავე აქტივობას შეფასების

სქემის მიხედვით და ერთმანეთს ადარებენ მიღებულ შედეგებს. განსხვავებული შედეგების მიღების შემთხვევაში, პედაგოგები ურთიერთთანამშრომლობით ხვეწენ შეფასების სქემებს.

7. შეფასება ხდება საგანმანათლებლო პროგრამით წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების მეშვეობით, შეფასების ინდიკატორები კი ფასდება შეფასების 3/5 დონის გამოყენებით, თუმცა შეფასების დონეებთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მიდგომა, მაგ.4 ან 5 დონე და სხვა.

ანალიტიკური შეფასების სქემის/რუბრიკის ნიმუში

კრიტერიუმი	სრულად შეესაბამება 5 ქულა	შეესაბამება 4-3 ქულა	ნაკლებად შეესაბამება 2-1 ქულა	არ შეესაბამება 0 ქულა
მიზანი და პრობლემა კონკრეტული, მიღწევადი, ნათელი და გაზომვადია მიზანი. აქტუალურია საპროექტო თემა. აქტუალობა ცხადად და დამაჯერებლად არის დასაბუთებული				
ამოცანები თითოეული ამოცანა შეესაბამება პროექტის მიზანს. გათვლილია თითოეული ამოცანის განხორციელების დროს შესაძლო რისკები და რისკების პრევენციისთვის შესაბამისი ღონისძიებები.				
შედეგი აღნიშნული შედეგის მიღწევა რეალურია და იგი შეესაბამება მიზანს. არგუმენტირებულად დასაბუთებულია მიღწეული შედეგის გავლენა.				
რესურსები ზუსტად არის განსაზღვრული ის მატერიალური და ადამიანური რესურსები, რომლებიც არის საჭირო პროექტით გათვალისწინებული საქმიანობებისათვის				
დიზაინი პროექტი აგებულია თანმიმდევრულად და ლოგიკურად.				

ქეისის ჰოლისტური შეფასების სქემის/რუბრიკის ნიმუში

კრიტერიუმი	ქულა
სიტუაციაში მოცემული პრობლემა ზუსტად არის იდენტიფიცირებული. ანალიზი სრულყოფილად არის წარმოდგენილი. ჩანს პრობლემასთან დაკავშირებული თეორიული მასალის	5 ქულა

სრულყოფილი ცოდნა, რომელიც ადეკვატურია კონკრეტული სიტუაციისა. ანალიზში ნაჩვენებია პრობლემიდან გამომდინარე არასასურველი შედეგები. რეკომენდაციები სრულად ემსახურება პრობლემის გადაჭრას. მოცემულია ის სასურველი შედეგები, რომლებიც პრობლემის გადაჭრის შედეგად მიიღწევა.	
სიტუაციაში მოცემული პრობლემა იდენტიფიცირებულია. ანალიზი წარმოდგენილია, თუმცა არ არის სრულყოფილი. პრობლემასთან დაკავშირებული თეორიული მასალა მოცემულია, მაგრამ ნაკლებად არის დაკავშირებული კონკრეტულ სიტუაციასთან. ანალიზში ნაჩვენებია პრობლემიდან გამომდინარე არასასურველი შედეგები, მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც ემსახურება პრობლემის გადაჭრას, მაგრამ არ არის მოცემული ან არასრულად არის ის სასურველი შედეგები, რომლებიც მოჰყვება პრობლემის გადაჭრას.	4 ქულა
სიტუაციაში მოცემული პრობლემა მეტ-ნაკლები სიზუსტით არის იდენტიფიცირებული. ანალიზი წარმოდგენილია, თუმცა არ არის სრულყოფილი. პრობლემასთან დაკავშირებული თეორიული მასალა მწირია და ნაკლებად არის დაკავშირებული კონკრეტულ სიტუაციასთან. ანალიზში არ არის ნაჩვენები პრობლემიდან გამომდინარე არასასურველი შედეგები. არასრულად არის მოცემული რეკომენდაციები, რომლებიც ემსახურება პრობლემის გადაჭრას. არ არის მოცემული,	3 ქულა
სიტუაციაში მოცემული პრობლემა მეტ-ნაკლები სიზუსტით არის იდენტიფიცირებული. ანალიზი არ არის წარმოდგენილი, მოცემულია მხოლოდ შემთხვევის (ე.წ. ქეისის) პერიფრაზი. პრობლემასთან დაკავშირებული თეორიული მასალის ცოდნა არ ჩანს. ანალიზში არ არის ნაჩვენები პრობლემიდან გამომდინარე არასასურველი შედეგები. რეკომენდაციები, რომლებიც ემსახურება პრობლემის გადაჭრას ძალიან მწირია და ისიც ზოგადი და არაფრისმომცემი. არ არის მოცემული ან არასრულად არის ის სასურველი შედეგები, რომლებიც მოჰყვება პრობლემის გადაჭრას.	2-1 ქულა
სიტუაციაში მოცემული პრობლემა არასწორად არის იდენტიფიცირებული. ანალიზი არ არის მოცემული, თუ მოცემულია - არასწორად. პრობლემასთან დაკავშირებული თეორიული მასალის ცოდნა და კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირება არ ჩანს. ანალიზში არ არის ნაჩვენები პრობლემიდან გამომდინარე არასასურველი შედეგები. არ არის ან არასწორად არის რეკომენდაციები, რომლებიც ემსახურება პრობლემის გადაჭრას. არ ჩანს ის სასურველი შედეგები, რომლებიც ემსახურება პრობლემის გადაჭრას	0 ქულა

8. შესაძლებელია სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში მოხდეს შეფასების დონების განსხვავებული რაოდენობის გამოყენება და/ან აღნიშნული დონების სხვაგვარად ფორმულირება.
9. ცალკე უნდა გაანალიზდეს სტუდენტთა რაოდენობა, რომელიც ვერ აღწევს სწავლის შედეგებს და აღნიშნულის მიზეზი/ები.

1. პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ერთობლიობა უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. აქედან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგებზე დაყრდნობით, ხდება სასწავლო კურსების იდენტიფიცირება, რომელთა სწავლის შედეგების ერთობლიობა ფარავს პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო კურსის შინაარსი - ამავე კურსის სწავლის შედეგებს.
2. სასწავლო კურსის პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დასადგენად შეგვიძლია გამოვიყენოთ სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი

პროგრამის რომელი სწავლის შედეგი მიიღწევა ამა თუ იმ კურსით (სწავლის შედეგების რუკის ნიმუში იხილეთ ზემოთ).

- სასწავლო კურსის სწავლის შედეგების საბაკალავრო/სამაგისტრო საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გასათვალისწინებელია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერი, ხოლო რეგულირებადი პროფესიების შემთხვევაში, დამატებით, შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული კომპეტენციებიც.

სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასება

ცხრილი N7

სწავლის შედეგები	სწავლა-სწავლების ფორმები/მეთოდები (მოცემულია მხოლოდ სავარაუდო ფორმები)					შეფასება		გადის პროგრამის სწავლის შედეგზე N
	ლემცია	ქეისი	დისკუსია	პრეზენტაცია	სხვა	შეფასების მეთოდები	შეფასების მეთოდის ხვედრითი წილი	
1. სწავლის შედეგი სილაბუსის შესაბამისად						კონკრეტული სწავლის შედეგის შეფასების მეთოდი სილაბუსის შესაბამისად (მაგ: ტესტი/გამოცდა, ქეისიწერითი დავალება, პროექტი, რეფერატი პრეზენტაცია, სასემინარო მოხსენება, დისკუსია და.შ.)	შეფასების მეთოდის წილი (%) შეფასებაში (100 ქულა)	
2. სწავლის შედეგი სილაბუსის შესაბამისად						კონკრეტული სწავლის შედეგის შეფასების მეთოდი სილაბუსის შესაბამისად	შეფასების მეთოდის წილი (%) შეფასებაში (100 ქულა)	
3.								

- შედეგების ანალიზი:

- 1) პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მნიშვნელოვანი მეოთხე ეტაპია მიღებული შედეგების გაანალიზება, ანალიზის შედეგად კი პროგრამის გაუმჯობესება, რადგან სწავლის შედეგების შეფასების პირველადი დანიშნულება პროგრამის გაუმჯობესებაა.
- 2) ანალიზის ეტაპზე ხდება შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარება და იმის დადგენა, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა სწავლის შედეგებს იმ დონით, როგორც ვვარაუდობდით.
- 3) ასევე ხდება განსაზღვრა, ხომ არ არის ერთი ან მეტი სწავლის შედეგი, რომლებსაც სტუდენტების უმრავლესობა სუსტად ან საერთოდ ვერ აღწევს. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება კურიკულუმის რუკასთან მიბრუნება და იმ სასწავლო კურსების გადახედვა, რომლებიც ავითარებენ აღნიშნულ სწავლის შედეგ(ებ)ს.
- 4) შეფასების შედეგად შეიძლება განხორციელდეს:
 - ცვლილებები სასწავლო კურს(ებ)ის შინაარსში;
 - ცვლილება კურსის წინაპირობებში;
 - ცვლილება სასწავლო კურსების თანმიმდევრობაში;
 - სასწავლო კურს(ებ)ი, დამატება ან ამოღება პროგრამიდან;
 - ცვლილებები სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისებში;
 - ცვლილებები თავად პროგრამის სწავლის შედეგებში;
 - ცვლილებები შეფასების მექანიზმებში და ა.შ.
- 5) მეოთხე ეტაპზე განხორციელებული ანალიზი და ანალიზის შედეგად მიღებული ცვლილებები აისახება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშში.
- 6) მნიშვნელოვანია სტუდენტებთან უკუკავშირი, თუ როგორ მიაღწიეს მათ პროგრამის სწავლის შედეგებს, რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ მათ.

2. სწავლის შედეგების გადახედვა და მონიტორინგი

1. ბაკალავრიატის საფეხურზე: 3 წლიან დინამიკაზე დამზერა;
2. მაგისტრატურის საფეხურზე: 3 წლიან დინამიკაზე დამზერა;
3. ზემოაღნიშნული პერიოდებისთვის მოხდება მონიტორინგის შედეგების დადარება სამიზნე ნიშნულებთან და აიგება თვალსაჩინოებისთვის დიაგრამა: სწავლის შედეგის მიღწევის პროგრესის/რეგრესის დამზერის და შემდგომი რეაგირების მიზნით.

ზმნები ტაქსონომიის დონეების მიხედვით

<p>1. ცოდნა</p>
<p>განლაგება, შეგროვება, განსაზღვრა, აღწერა, გადმოღება, ჩამოთვლა, გამორკვევა, პოვნა, იდენტიფიცირება, სახელდება, ჩამოთვლა, დამახსოვრება, დასახელება, მოწესრიგება, მონახაზის გაკეთება, წარდგენა, ციტირება, ცნობა, გახსენება, მოგონება, დაკავშირება, მოყოლა/თხრობა, რეპროდუცირება, ჩვენება, ჩამოყალიბება, კონსტანტირება, დაჯგუფება, გარჩევა.</p>
<p>2. გაგება</p>
<p>დაკავშირება, შეცვლა, განმარტება, კლასიფიცირება, კონსტრუირება, შედარება, გარდაქმნა, დაცვა, აღწერა, დიფერენცირება/განსხვავება, გარჩევა, განხილვა, განსხვავება, გამოანგარიშება, ახსნა, გამოხატვა, განზოგადება, იდენტიფიცირება, ილუსტრირება, მითითება, აზრის გამოტანა, ინტერპრეტირება, განთავსება, პერიფრაზირება, პროგნოზირება, აღიარება, ანგარიშის შედგენა, რეფორმულირება, მიმოხილვა, შერჩევა, გადაწყვეტა, თარგმნა.</p>
<p>3. გამოყენება</p>
<p>შეფასება, გაანგარიშება, შეცვლა, არჩევა, დასრულება, გამოთვლა, კონსტრუირება, დემონსტრირება, განვითარება, აღმოჩენა, დრამატიზება, გამოყენება, გამოცდა, ექსპერიმენტირება, პოვნა/დადგენა, ილუსტრირება, ინტერპრეტირება, მანიპულირება, მოდიფიცირება, ოპერირება, ორგანიზება, პრაქტიკაში გამოყენება, პროგნოზირება, მომზადება, წარმოება, დაკავშირება, დაგეგმვა, ჩვენება, მონახაზის გაკეთება, გადაწყვეტა, ტრანსფერი, გადატანა.</p>
<p>4. ანალიზი</p>
<p>გაანალიზება, ინფორმირება, რანჟირება, ორგანიზება, დანაწილება, გამოანგარიშება, კატეგორიზაცია, კლასიფიცირება, შედარება, დაკავშირება, შეპირისპირება, კრიტიკა, განხილვა, განსაზღვრა, დიფერენცირება, გამორჩევა, განსხვავება, დაყოფა, შემოწმება/გამოცდა, ექსპერიმენტირება, იდენტიფიცირება, ილუსტრირება, დასკვნის გაკეთება, შემოწმება, გამოკვლევა, მოწესრიგება, მონახაზის გაკეთება, მითითება, გამოკითხვა, დაკავშირება, განცალკევება, ტესტირება.</p>
<p>5. სინთეზი</p>
<p>არგუმენტირება, დასაბუთება, რანჟირება, ორგანიზება, შეგროვება, კატეგორიზაცია, შეკრება, კომბინირება, კომპილაცია, შედგენა, აგება, შექმნა, განვითარება, ჩამოყალიბება, ახსნა/განმარტება, ფორმულირება, განზოგადება, გენერირება, ინტეგრირება, გამოგონება, გაკეთება, მართვა, დამღევა, მოდიფიცირება, ორგანიზება, დაგეგმვა, მომზადება, შეთავაზება, წინადადების მომზადება, რეკონსტრუირება, მოწესრიგება, დაკავშირება, რეორგანიზება, გადახედვა, შექმნა, შეჯამება.</p>
<p>6. შეფასება</p>
<p>ინფორმირება, დადგენა, გამორკვევა, არგუმენტირება, შეფასება, დაკავშირება, შედარება, ამორჩევა, დასკვნის გაკეთება, შეპირისპირება, დარწმუნება, გაკრიტიკება, გადაწყვეტა, დაცვა, გამორჩევა, ახსნა/განმარტება, ევალუაცია, დახარისხება, ინტერპრეტირება, მსჯელობა, დამოწმება(ფაქტებით), გაზომვა, პროგნოზირება, დადგენა, რეკომენდაციების მომზადება, დაკავშირება, გადაჭრა, გადახედვა, დაანგარიშება, შეჯამება, მხარდაჭერა, ვალიდაცია, შეფასება.</p>

დოკუმენტი მომზადებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის,
პროფ. მათა უკლებას მიერ